კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

# საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.mcs.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 24 ოქტომბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

**www.mcs.gov.ge**

**<u>გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები</u>**




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
60,87%
50,39%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
37,50%
46,33%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
60,00%
27,83%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
58,62%
27,59%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
26,09%
28,83%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
42,31%
47,50%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0,00%
0,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
14,29%
18,00%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%

**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:**

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

**1.** ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სამინისტროს ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოიძიება მინისტრის ფოტოსურათი, კომპეტენციის აღწერა, აგრეთვე, მისი საკონტაქტო რეკვიზიტები - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“ მოცემულია მინისტრის მხოლოდ სახელი და გვარი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები და თანაშემწეების საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:



**ნიკოლოზ რურუა**

მინისტრი

დაიბადა 1968 წელს თბილისში.

1992 წელს დაამთავრა თბილისის შ. რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ტელესარეჟისორო ფაკულტეტი.

1997-2001 წლებში სწავლობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ატლანტაში, ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტში, არის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.

მუშაობდა ატლანტაში ამერიკის "სამოქალაქო უფლებათა კავშირში". ასევე მუშაობდა ექსპერტად იურიდიულ საკითხებში ქართულ-ევროპული პოლიტიკისა და იურიდიული კონსულტაციის ცენტრში (Georgian- European Policy and Legal Advice Center-GEPLAC)

მოგვიანებით მუშაობდა გაზეთ "24 საათის დამატება" სამართლის მთავარ რედაქტორად.

2003 წლიდან იყო საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრი, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, NATO-ს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის დელეგაციის ხელმძღვანელი.

**მინისტრის აპარატი**

| | | |
|---|---|---|
| **აპარატის უფროსი** | **ირაკლი თაბორიძე** | **2932408** |
| თანაშემწე | ნინო გადილია | 2987420 |
| თანაშემწე | ნინო დვალი | 2932255 |
| თანაშემწე | სალომე ჭიჭინაძე | 2999966 |
| თანაშემწე | სალომე ბებიაშვილი | 2987435 |
| თანაშემწე | ელენე ყიფიანი | 2987432 |

ამასთან, სამინისტროს მოქმედი დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: ,,მინისტრი უფლებამოსილებას იხსნის საქართველოს პრეზიდენტის წინაშე. მინისტრის საქმიანობას კოორდინაციასა და კონტროლს უწევს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, რომელიც უფლებამოსილია, თანამდებობიდან გაათავისუფლოს მინისტრი. პრემიერ-მინისტრის

უფლებამოსილების შეწყვეტა იწვევს მინისტრის უფლებამოსილების შეწყვეტას. მინისტრის უფლებამოსილების შეწყვეტა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების უფლებამოსილებათა შეწყვეტის საფუძველია“. როგორც ირკვევა, მინისტრი თანამდებობა საკმაოდ მნიშვნელოვან და ინდივიდუალურ სახელმწიფო სტატუსს ატარებს, რაზედაც სასურველია იყოს მცირე ინფორმაციული ხასიათის აღწერა ვებ-გვერდზე შესაქმნელ (ქვე-)განყოფილებაში „მინისტრი”.

- არ მოიძიება მინისტრის მოადგილეების ფოტოსურათები, კომპეტენციის აღწერა, აგრეთვე, მათი არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტები - სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღებების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“ მოცემულია მოადგილეთა მხოლოდ  სახელები და გვარები და ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები:




ამასთან, აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში, მინისტრის ერთ-ერთი მოადგილის - გიორი ყიფიანის შესახებ მოცემულია მხოლოდ სახელი და გვარი:

სამინისტროს მოქმედი დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად მინისტრს ჰყავს

ხუთი მოადგილე, მათ შორის ერთი - პირველი.

ვებ-გვერდის განყოფილებაში ,,ჩვენს შესახებ“ - ,,სტრუქტურა“ მოცემულია ინფორმაცია ხუთიდან ოთხი მინისტრის მოადგილის შესახებ, ამასთან სასურველია ჩამონათვალს დაემატოს შესაბამისი ინფორმაცია მეხუთე მოადგილის შესახებ, რომლის ბმულზეც გადასვლისას, იმ შემთხვევაში, თუ თანამდებობა ვაკანტურია მოყვანილი იქნება შემდეგი ინფორმაცია: ,,თანამდებობა დაკავებული არ არის“, ,,მოადგილე ჯერ არ დანიშნულა“ ან *მისთ.*

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას ცალკეული (ქვე-)განყოფილებები, სათაურად „მინისტრი“ და „მოადგილეები“, სადაც განთავსდება მათ შესახებ ყველა სახის ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია.

**2.** არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და სამინისტროს შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

**3.** არ მოიძება სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერი, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „კონტაქტი“ მოცემულია სამინისტროს მხოლოდ ფაქსის ნომრები:

**4.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს სისტემის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (ყველა სტრუქტურული ერთეულის, სამინისტროს სისტემაში შემავალი უკლებლივ ყველა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სატელეფონო ცნობარი, ელ.ფოსტა, საფოსტო მისამართი და ფაქსის ნომრები), აგრეთვე, არ მოიძიება სამინისტროს მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

**5.** ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სამინისტროს დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია, აგრეთვე, არ არსებობს შესაბამისი (ქვე-)განყოფილება.

**6.** ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „პრიორიტეტები“ მოცემულია მწირი ინფორმაცია სამინისტროს მიზნების შესახებ. სასურველია, აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში განთავსდეს სამინისტროს მოქმედი დებულების თანახმად განსაზღვრული სამინისტროს კომპეტენციის, საქმიანობის სფეროსა და ამოცანების აღწერა:




- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

**7.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება  სამინისტროს სტრუქტურის სქემატური (სისტემის სტრუქტურული ხე) ან ინფორმაციული აღწერა;

- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების ძირითადი ამოცანებისა და კომპეტენციის აღწერა;

- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მათი კომპეტენციის აღწერა და საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები და ფაქსის ნომრები.

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“ მოცემულია სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მხოლოდ სახელები და გვარები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

| კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და წებართვების დეპარტამენტი | | |
|---|---|---|
| დეპარტამენტის დირექტორი | ბესიკ მაცაბერიძე | 2305188 |

| ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო | | |
|---|---|---|
| სამმართველოს უფროსი | ლევან ჩირგაძე | 2995865 |

ამასთან, აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში სამინისტროს სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული დეპარტამენტის ხელმძღვანელის სახელისა და გვარის მომცველი შესაბამისი გრაფა ცარიელია:

| ადმინისტრაციული დეპარტამენტი | | |
|---|---|---|
| დეპარტამენტის დირექტორი | | 2995459 |
| დირექტორის მოადგილე | გიორგი მიჩიტაშვილი | 2368722 |

- არ მოძიება სტრუქტურული ერთეულების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

➢ **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

**8.** სამინისტროს ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა არქივი, საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, სამინისტროს საქმიანობის ამსახველი წლიური ანგარიშები, სტატისტიკური მონაცემები, სამინისტროს მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოცემული სტანდარტები, ნორმატივები, მითითებები, აგრეთვე ვაკანსიათა (არ არის შესაბამისი (ქვე-)განყოფილება) და ტენდერების (არ არის შესაბამისი (ქვე-)განყოფილება) არქივები. აგრეთვე შესაძლებელია ვებ-გვერდზე განთავსდეს კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი საინფორმაციო ბანკიც.

**9.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება შემოსული/გასული კორესპონდენციის რეგისტრი:

➢ **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

**10.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება მინისტრის მოადგილეთა (მოვალეობათა შემსრულებლის) გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები.

**11.** ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „წლიური ანგარიშები“, სადაც განთავსდებოდა სამინისტროს საქმიანობის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები.

**12.** ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა სამინისტროს მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ სამინისტროს საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

**13.** პროექტებისა და პროგრამების ჩამონათვალი მიმოფანტულია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „კულტურა“ არსებულ ქვე-განყოფილებებში:

სასურველია ვებ-გვერდზე შეიქმნას ცალკეული (ქვე-)განყოფილება „პროგრამები/პროექტები“, სადაც თავმოყრილად იქნება მოყვანილი ზემოაღნიშნულ ქვე-განყოფილებებში განთავსებული ინფორმაცია, აგრეთვე, სასურველია აქვე განთავსდეს პროგრამების/პროექტების შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები და ცნობები პროგრამების/პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ.

**14.** სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და ,,პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა (მათ შორის განყოფილებაში „კულტურა“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „განათლება“ არსებული ინფორმაცია) და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები:




- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

**15.** ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სამართლებრივი აქტები“ განთავსებული აქტი: საქართველოს მთავრობის დადგენილება „შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული პრემიის ლაურეატებისათვის ყოველთვიური სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის შესახებ“ - ძალადაკარგულია:



მოცემულ ქვე-განყოფილებაში სასურველია, განთავსდეს აგრეთვე, სამინისტროს საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები;

სასურველია, აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში აგრეთვე, მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს სახელმწიფო გერბის შესახებ“;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

**16.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

**17.** ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სამინისტროში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

**18.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სამინისტროსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე,

სამინისტროსა  და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

**19.** ვებ-გვერდზე არ არსებობს  (ქვე-)განყოფილება „ტენდერები“, სადაც განთავსდებოდა სამინისტროს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი  ჩამონათვალი (სია) და ასევე, სამინისტროს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია. *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2010 წლის პირველი იანვრიდან 2010 წლის 19 ოქტომბრამდე  სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერებისა და შესყიდვების სრული ჩამონათავლი, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

*http://www.opendata.ge/pdf_files/1_c_shesyidvebi0001.pdf).*

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

**20.** ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება  სათაურად „ვაკანსიები“, სადაც განთავსდებოდა განთავსდეს ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სამინისტროს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

**21.** ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია:

> არ მოიძიება სამინისტროსათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**,*

*საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2009-2010 წლების ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია კვარტალების ან/და თვეების მიხედვით (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 47.1 მუხლის თანახმად) ასევე ბიუჯეტებში შეტანილი ცვლილებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*
*http://www.opendata.ge/pdf_files/__1_biujeti0001.pdf);*

- არ მოიძიება სამინისტროს ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სამინისტროს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ადმინისტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითებების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*
*http://www.opendata.ge/pdf_files/kultura_xelfasipremia.pdf*

*აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2009 წლის მთლიანად და 2010 წლის პირველი იანვრიდან 2010 წლის 19 ოქტომბრამდე მინისტრის, მინისტრის მოადგილეების, სტრუქტურული (ქვედანაყოფების) ერთეულების, ხელმძღვანელი პირების და მათი მოადგილეების თანამდებობრივი სარგოების და სახელფასო დანამატების ოდენობის შესახებ ინფორმაცია, რომელიც ასევე მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის*

*ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*
*http://www.opendata.ge/pdf_files/sargoebi0001.pdf);*

- არ მოიძიება სამინისტროს შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამინისტრო;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სამინისტროსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

*შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:*




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
66,67%
2. ძიება
40,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
41,18%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
33,33%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
50,00%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
42,86%
9. ელექტრონული ჩართულობა
0,00%
10. ელექტრონული სერვისები
8,33%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
0,00%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
50,00%
0
0,2
0,4
0,6
0,8

- **ნავიგაცია**

ნავიგაციის ტექსტის ფერები არ არის დარეგულირებული, რადგან შიდა მენიუდან „მაუსის“ გადაადგილების შემდეგ ტექსტის ფერი მკრთალი ხდება რაც ართულებს მის წაკითხვას:




- **ძიება**

ვებ-გვერდის ქართულ ენოვან ვერსიაში, ძიების მოდულში, ავტომატურად უნდა იკრიფებოდეს ქართული ფონტი, ხოლო ინგლისურ ვერსიაში კი ლათინური ფონტი. ამჟამად ვებ-გვერდზე ავტომატურად მოხლოდ ლათინური ფონტით არის შესაძლებელი ტექსტის აკრეფვა:




- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ტექსტის საკითხავად აუცილებელია დავიცვათ ფერთა გამა და საერთაშორისო სტანდარტები, რომლის მიხედვით ტექსტის ფონი არავითარ შემთხვევაშ არ უნდა იყოს გარდამავალი (Gradient color) ფერი, ვებ-გვერდზე კი ეს არ არის გათვალისწინებული:



სომეხი მხატვრები) იყვნენ. მათ დიდი როლი ითამაშეს მრავალეროვნული X1X საუკუნის თბილისის მხატვრული ცხოვრების ფორმირებაში, რომელიც ტრადიციულად კავკასიის კულტურულ ცენტრად მოიაზრებოდა.

X1X საუკუნის 30-იან წლებში თბილისში ადგილობრივი, ნაციონალური პორტრეტული სკოლა ყალიბდება. 80-იანი წლებიდან კი საფუძველი ეყრება რეალისტურ ხელოვნებას, ფორმირდება რუსეთსა თუ დასავლეთში განსწავლულ ქართველ მხატვართა ახალი თაობა (რ. გველესიანი; ა. მრევლიშვილი; გ. გაბაშვილი; მ. თოიძე), რომელიც ერთი მხრივ აფართოვებს შემოქმედებით დიაპაზონს, საფუძველს უყრის მრავალ დარგსა თუ ჟანრს (პორტრეტის გვერდით ჩნდება პეიზაჟი, ნატურმორტი, ისტორიული თუ ყოფითი ჟანრი, თემატური სურათი), ამავდროულად ისწრაფვის სინამდვილის რეალური ასახვისაკენ და უარს ამბობს ტრადიციულ გამომსახველობით ხერხებზე, ეროვნულ ფორმაზე (ეროვნული მხოლოდ თემატიკა, სამოსი, ატრიბუტიკა და ტიპაჟია – დომინირებს თხრობითობა, სიუჟეტი).

XX საუკუნის დასაწყისში ქართულ ხელოვნებაში მეტად მრავალფეროვანი და საინტერესო სურათი იქმნება. რუსეთში, საბჭოთა წყობილების დამყარებისთანავე, რუსმა ხელოვანებმა შედარებით სტაბილურ პოლიტიკურ სიტუაციაში მყოფ თბილისს შეაფარეს თავი, სადაც ნოყიერი ნიადაგი აღმოჩნდა ავანგარდული კულტურული გარემოს შექმნისა და დამკვიდრებისათვის. თბილისის არტისტულ კაფეებში, სალონებსა და დუქნებში ჩქეფდა ბოჰემური ცხოვრება. ხელოვნებათა სინთეზში ცოცხლდებოდა თეატრალიზებული გამოსვლები, იმართებოდა ლიტერატურული თუ პოეზიის საღამოები, დისკუსიები, მოდერნისტულ

ვებ-გვერდის მთავარ ანიმაციაში ზოგიერთი სურათი არ არის შესაბამისად დამუშავებული, მაგალითად:

ვებ-გვერდის ზოგიერთ სიახლეში სურათები, არაპროპორციულად დაპატარავების გამო, არასათანადოდ გამოიყურება:




- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ნებისმიერ გვერდზე შესვლით ვიდეორგოლი ხელახლა იტვირთება, რაც ძალიან „ამძიმებს“ ვებ-გვერდს:

თუ ანიმაცია აუცილებელია, მაშინ ვებ-გვერდი უმჯობესია შეიქმნას Ajax ტექნოლოგიაში, რათა არ მოხდეს ვებ-გვერდის ვიდეორგოლის ხელახლა ჩატვირთვა. სხვა შემთხვევაში სასურველია, რომ მხოლოდ პირველ საპრეზენტაციო გვერდზე იყოს განთავსებული ვიდეორგოლი;

ვებ-გვერდი არ იტვირთება Internet Explorer 7-ში. ბრაუზერის ეს ვერსია არ ითვლება მოძველებურად და მასზე ნებისმიერი ვებ-გვერდი უნდა იტვირთებოდეს პრობლემების გარეშე.

ბრაუზერ Safari-ში, სხვა ბრაუზერებისგან განსახვავებით, პროგრამული კოდი, რომელიც უზრუნველყოფს ღილაკზე დაჭერით ინფორმაციის შეცვლას, არ ფუნქციონირებს:

სახლეების მოდულში დაშვებულია მცირე ხარვეზი, რის გამოც ზოგიერთ შემთხვევაში კონტენტი ზემოდან ეფარება ღილაკს:




- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდის ცვლადები არ იფილტრება, რაც ელექტრონული რესურსის უსაფრთხოების დაცვის კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია. ცვლადის ინფორმაციის ხელოვნურად შეცვლის შედეგად, ვებ-გვერდი აირია და მასზე აისახა პროგრამული შეცდომები:




- **დამატებითი პარამეტრები**

დიზაინში გამოყენებულია სამგანზომილებიანი ობიექტები, რომლის ნაწილი ცუდად არის მოჭრილი, ამ შემთხვევაში ჩრდილი გარდამავალი უნდა იყოს თეთრში:

## ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ვებ-გვერდი ზედმეტად გადატვირთულობის გამო (ვიდეო რგოლები, დიზაინის ელემენტები) მისი ჩატვირთვის სიჩქარე საკმაოდ დაბალია და შესაბამისად უმეტესობა მომხმარებლისთვის ვებ-გვერდი „მძიმედ“ მუშაობს. მაგალითის სახით შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ ვებ-გვერდის მონიტორინგი ჩატარდა თანამედროვე პერსონალური კომპიუტერის გამოყენებით (ინტელ i3, ოპერატიული მეხსიერება 4 გბ.) და მიუხედავად ძლიერი სისტემისა ვებ-გვერდი მაინც არ ფუნქციონირებდა ხარვეზების გარეშე. აქედან გამომდინარე ჩვენი აზრით აუცილებელია ვებ-გვერდის უკეთესი ოპტიმიზაცია რათა მისი მოხმარების საშუალება გაცილებით სუსტი მონაცემების ტექნიკური საშუალებების მქონე მოქალაქეებსაც ჰქონდეთ.